შპს „ემტექი“
თბილისი, 0119
მირცხულავას ქ. N10
ტელ. +99532 2407707
e-mail: info@mtech.ge

M-Tech LTD
10 Mirtskhulava str,
0119, Tbilisi, Georgia
Phone: +99532 2407707
www. mtech.ge

ქ. თბილისი

22 ივნისი, 2020 წ.

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მინისტრის მოადგილეს,
ბ-ნ გიორგი წოწკოლაურს

უპირველეს ყოვლისა, გვსურს გამოვხატოთ ღრმა პატივისცემა სამინისტროს მთლიანი გუნდისადმი, კორონავირუსით გამოწვეული რთული სიტუაციის წარმატებულად მართვისა და ჩვენი კომპანიისადმი გამოცხადებული ნდობისათვის, რათა ვითანამშრომლოთ ამ რთულ პერიოდში. აქვე ვადასტურებთ მზადყოფნას შესაძლებლობის ფარგლებში, კვლავ შევიტანოთ ჩვენი წვლილი ჯანდაცვის დარგში, არსებული გამოწვევების დასაძლევად.

გაცნობებთ, რომ მსოფლიო ბანკის დაფინანსებით „ხელოვნური სუნთქვის აპარატების“ შესყიდვის შესახებ, “საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსა” და შპს „ემტექს“ შორის 2020 წლის 21 მაისს დადებული ხელშეკრულების (Project: P173911) ფარგლებში, მხარეთა შეთანხმებით, შეიცვალა მისი რამდენიმე პირობა, კერძოდ:

შექმნილი სიტუაციიდან გამომდინარე, შეიცვალა ანგარიშსწორების პირობები, ვითვალისწინებთ რა წარმოქმნილ შეფერხებებს, ჩვენ გამოვთქვამთ მზადყოფნას მოწოდება მოხდეს საავანსო ანგარიშსწორების გარეშე. ამასთან, ჩვენგან დამოუკიდებელი მიზეზებით წარმოებაში წარმნოქმნილი პრობლემების გამო უნდა შეიცვალოს საქონლის მიწოდების ვადაც 2020 წლის აგვისტომდე, სასურველია თვის ბოლომდე.

ამრიგად, ცვლილებებში შესაბამისად ჩაიწეროს: ანგარისსწორება მიწოდებიდან 2 კვირაში სრულად. მოწოდების ვადა 2020 წლის 30 აგვისტო.

აქვე განვმარტავთ, რომ საქონლის მიწოდების ვადის ცვლილება გამოიწვია წარმოებისათვის საჭირო მარაგ-ნაწილების მიღებაში შექმნილმა შეფერხებამ აშშ, იაპონია და ევროპიდან, რის შესახებაც დანართის სახით გაწვდით კომპანია Mindray-ს წერილს.

გთხოვთ, გაითვალისწინოთ აღნიშნული გარემოებები და განვახორციელოთ ხელშეკრულებაში შესაბამისი ცვლილებების შეტანა და/ან სათანადო შეთანხმების გაფორმება.

შპს „ემტექი“-ს
დირექტორი

ლელა ათოშვილი

შპს „ემტექი“ * GEORGIA "M-TECH" LTD * 02443230 *